საქართველოს მთავრობის

დადგენილება №587

2014 წლის 7 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/06/2014, 240140000.10.003.017985) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის:

1. **მე-4 მუხლის:**

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ქაღალდის წარმოება/გადამუშავება, მათ შორის, შესაფუთი მასალების, მუყაოს, გოფრირებული ტარის წარმოება;“;

ბ) „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) საკვები პროდუქტების წარმოება/გადამუშავება, მათ შორის, ხორცის, თევზის, კიბოსნაირების, მოლუსკების, ხილის, ბოსტნეულის გადამუშავება, გარდა გამზადებული კერძების და პურ-ფუნთუშეული პროდუქტების წარმოებისა.“.

2. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე საშეღავათო პერიოდი, ძირითადი საშუალების შეძენის მიზნობრიობით, არ უნდა იყოს 24 თვეზე ნაკლები ძირითად თანხაზე, ხოლო საბრუნავი საშუალებებისთვის - 18 თვეზე ნაკლები ძირითად თანხაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბანკი და მსესხებელი სხვა ვადაზე არ შეთანხმდებიან.“.

3. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ე“ ქვეპუნქტი:

„ე.ე) ხორცის და რძის გადამუშავება.“.

4. 25-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აამოქმედოს ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხით შექმნილი ახალი საწარმო პირველი ტრანშის მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვის ვადაში, ხოლო, არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების შემთხვევაში - პირველი ტრანშის მიღებიდან 12 თვის ვადაში;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**